3268/3-70/26 2 15062026

3268/3-70/26
15-06-2026

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, 148-ე მუხლით განსაზღვრული პარლამენტის წევრის ოფიციალური კითხვის ფორმატით.

გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია თქვენდამი დაქვემდებარებული საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის საქმიანობასთან დაკავშირებით:

1. 2025-2026 წლებში საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ განხორციელებული უძრავი ქონების შესყიდვების შესახებ:

* თითოეული შესყიდული უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, ფართობი და დანიშნულება;

* შესყიდვის სამართლებრივი საფუძველი;

* შესყიდვის ღირებულება და დაფინანსების წყარო;

* შესყიდვის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები.

2. 2025-2026 წლებში სახელმწიფო კლინიკების მართვის სისტემაში დამატებული სამედიცინო დაწესებულებების შესახებ:

* რომელი სამედიცინო დაწესებულებები დაემატა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მართვის სფეროს;

* თითოეული დაწესებულების გადაცემის საფუძველი;

* აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენებული შეფასებისა და საჭიროებების ანალიზის დოკუმენტები.

3. თითოეულ ახალდამატებულ სამედიცინო დაწესებულებაში არსებული და დაგეგმილი სამედიცინო მომსახურებების შესახებ:

* ამჟამად მოქმედი სამედიცინო სერვისების ჩამონათვალი;

* 2025-2028 წლებში დაგეგმილი ახალი სერვისები და პროგრამები;

* მომსახურებების გაფართოებისთვის გათვალისწინებული ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

* სამედიცინო პერსონალის საჭირო რაოდენობა და კადრების განვითარების გეგმა.

4. გთხოვთ, ასევე წარმოადგინოთ ინფორმაცია, განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების გავლენის შესახებ რეგიონებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და უწყვეტობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ქეთევან ბაკარაძე